**საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია**

**ეთიკის კომისიის**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე**

**მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

ოთარ კაჭკაჭაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი** - შპს „ფ. ს.“

**საჩივრის ავტორის წარმომადგენელი:** ადვოკატი თ. კ. /სიითი №/

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 23.09.2022

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 082/22

**საჩივარი შემოტანილია**: ადვოკატ კ. ჩ.-ის /სიითი №/ მიმართ

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ კ. ჩ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 23 სექტემბერს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა შპს „ფ. ს.-მა“ და მოითხოვა ადვოკატ კ. ჩ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი კ. ჩ. 2019 წლის 9 აგვისტოდან ზეპირი ფორმით დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ფ. ს.-ში“ მუშაობდა იურისტის პოზიციაზე. მისი საქმიანობა არ იყო შეზღუდული რომელიმე კონკრეტული საქმით და იგი კომპანიას მხარდაჭერას უწევდა ყველა სამართლებრივ საკითხში, კერძოდ: კომპანიის სახელით კომუნიკაციას აწარმოებდა მესამე პირებთან; უფლებამოსილი იყო კომპანიის სახელით წარედგინა

განცხადებები და დოკუმენტები. შესაბამისად, იურისტის პოზიციიდან გამომდინარე, კ. ჩ.-ს კომპანიის ყველა სამართლებრივ დოკუმენტზე ჰქონდა წვდომა, მათ შორის, შრომით ხელშეკრულებებზეც. იგი ასევე ფლობდა კომპანიის შიდა საქმიანობის, შრომითი პოლიტიკის, შრომითი დავების წარმოებისა და კომპანიის მიერ ამ კუთხით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2020 წლის 15 თებერვალს კ. ჩ. გათავისუფლდა იურისტის პოზიციიდან მასზე დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებისა და კომპანიაში არაჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნის მიზეზით - კ. ჩ. ცდილობდა კომპანიის თანამშრომლებსა და ხელმძღვანელ პირებს შორის ურთიერთობის გამწვავებას.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2020 წლის მაისი-ივნისის პერიოდში, შპს „ფ. ს.-მა“ დაკავებული თანამდებობებიდან გაათავისუფლა თანამშრომელთა ნაწილი, რის შემდეგაც მათ სასამართლოში შეიტანეს სარჩელი კომპანიის წინააღმდეგ, კომპანიასა და მის ყოფილ თანამშრომლებს შორის ამ დრომდე მიმდინარეობს შრომითი დავები. ამ საკითხთან დაკავშირებით ადვოკატი კ. ჩ. სამართლებრივ მომსახურებას უწევს უკლებლივ ყველა გათავისუფლებულ პირს და კომპანიის წინააღმდეგ მიმდინარე შრომით დავებში მათ ინტერესებს იცავს. აქედან გამომდინარე, შპს „ფ. ს.-ის“ პოზიციით, კ. ჩ. 2020 წლის მაისი-ივნისის თვეში გათავისუფლებულ თანამშრომლებს საადვოკატო მომსახურებას უწევს და შპს „ფ. ს.-ის“ წინააღმდეგ მიმდინარე შრომით დავებში მათ ინტერესებს წარმოადგენს კონფიდენციაცური ინფორმაციის დაცვისა და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულებათა დარღვევით. ადვოკატი მათ  შპს „ფ. ს.-სგან“ მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას იყენებს ამავე კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, შპს „ფ. ს.-სა“ და 2020 წლის მაისის თვეში გათავისუფლებულ ერთ-ერთ თანამშრომელს შორის დავის მიმდინარეობისას, კ. ჩ.-ის მიერ საკუთარი მარწმუნებლის სასარგებლოდ და შპს „ფ. ს.-ის“ ინტერესების საწინააღმდეგოდ სასამართლოში წარადგინა დოკუმენტი, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა, როგორც კომპანიის იურისტისთვის. კერძოდ,  კ. ჩ.-მა, როგორც გ. ვ.-ის წარმომადგენელმა მტკიცებულების სახით სასამართლოში წარადგინა GPS ამონაწერი, რომელიც წარსულში შპს „ფ. ს.-მა“ წარადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. ადვოკატს ეს მტკიცებულება შენახული ჰქონდა და ამჟამად სასამართლოში წარდგენით სურდა დაემტკიცებინა, რომ კომპანიაში GPS ამონაწერების წარმოება ხდებოდა, რითაც მას სურდა დაედგინა, რომ გ. ვ. ზეგანაკვეთურადაც მუშაობდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ რეალურად ეს ამონაწერი გ. ვ.ს არ ეკუთვნოდა და კომპანიაში მუშაობის გარეშე, ხელმისაწვდომი არ იქნებოდა ადვოკატ კ. ჩ.-ისათვის. ანუ ადვოკატმა გამოიყენა კლიენტისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, შემდგომი სასამართლო განხილვისას, ყოფილი კლიენტის - კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

1.6 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულების გარდა, ადვოკატის მიერ დარღვეულია ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულებაც, რადგან ადვოკატი კ. ჩ., ერთი მხრივ, ფლობს შპს „ფ. ს.-ის“ კონფიდენციალურ ინფორმაციას კომპანიის შიდა საქმიანი ინფორმაციის, შრომითი პოლიტიკის, სტრატეგიისა და შრომით დავებზე

გამოსაყენებელი მტკიცებულებებისა და არგუმენტების სახით, რაც მას პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს. მეორე მხრივ, კ. ჩ. ვალდებულია კლიენტთა ინტერესების დასაცავად შრომით დავებზე გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება.

1.7 თ. კ.-ის განმარტებით, კომპანიაში მუშაობის პერიოდში კ. ჩ. მეგობრობდა თ. ზ.-სთან, გ. ვ.-სთან, ლ. ქ.-სთან და თ. ლ.-სთან. კომპანიამ აღნიშნულ თანამშრომლებთანაც შეწყვიტა შრომითი ხელშეკრულება მაისი-ივნისის თვეში და ისინიც ყოველგვარი გაფრთხილებისა და დისციპლინური წარმოების გარეშე გათავისუფლდნენ. მათი გათავისუფლების მიზეზი გახდა ჩანაწერების არსებობა, რომლებიდანაც გაირკვა, რომ ხსენებული თანამშრომლები კომპანიის დირექტორის შესახებ სხვა პირებთან  უარყოფითად საუბრობდნენ, შემდეგ ამ ყველაფერს იწერდნენ, რათა ხელმძღვანელ პირებს ენახათ, რომ თანამშრომლებს დირექტორი არ მოსწონდათ. შპს „ფ. ს.-ის“ წარმომადგენლის მოხსენებით, ადვოკატმა კ. ჩ.-მა ყველა ამ პიროვნებას საადვოკატო მომსახურება გაუწია, მათ შორის მინდობილობა გაფორმებულია ივნისის თვეში და სანამ იგი კომპანიის თანამშრომელი იყო, მისთვის ცნობილი გახდა, რომ სამართლებრივი კუთხით კომპანიას სისუსტეები გააჩნდა და არ ჰქონდა არანაირი სამართლებრივი ბერკეტები სასამართლოში საკუთარი პოზიციის დასაცავად. კომპანიის სამართლებრივი დოკუმენტაციის მოწესრიგება იყო სწორედ იურისტის - კ. ჩ. მოვალეობა, რაც მან არ განახორციელა.

1.8 თ. კ.-ის განმარტებით, თანამშრომელთა კვებისა და ტრანსპორტირების თანხას შპს „ფ. ს.“ უზრუნველყოფს, თუმცა ეს ხარჯი თანამშრომელთა ანაზღაურების (ხელფასის) ერთიან თანხაში შედის და მისი გამოყოფა არ ხდება. ადვოკატმა ამ ინფორმაციით ისარგებლა და როდესაც იგი კომპანიის ყოფილ თანამშრომლებს საადვოკატო მომსახურებას უწევდა, მან სასამართლოში სასარჩელო მოთხოვნით გაცილებით მაღალი ხელფასი მოითხოვა, ვიდრე თანამშორმლების რეალური ანაზღაურება იყო. ადვოკატმა ისარგებლა იმით, რომ შემოსავლების სამსახურისაგან მიღებულ ცნობაში ყველა პირის (კ. ჩ.-ის, თ. ზ.-ის, გ. ვ.-ის, ლ. ქ.-ის და თ. ლ.-ის) მიმართ თანხების ჩარიცხვა ფიქსირდებოდა შედარებით მეტი ოდენობით, ვიდრე მათ ჰქონდათ ხელფასი და ასევე, ამ პირებთან არც შრომითი ხელშეკრულები იყო გაფორმებული. აქედან გამომდინარე, კომპანიას მხარეთა სასარგებლოდ გაცილებით მეტი ანაზღაურება დაეკისრა და მიადგა ზიანი.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა დაარღვია პროფესიული რეგულაციები, შესაბამისად, მას უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა - საადვოკატო საქმიანობის უფლების 6 თვის ვადით შეჩერება.

1.10 განხილვის კოლეგიის 2023 წლის 23 თებერვლის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ კონკრეტულად ისეთი სახის ინფორმაციაზე, რომელიც წარმოადგენდა კომპანიის კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელსაც ფლობდა ადვოკატი კ. ჩ. და გამოიყენა კომპანიის ინტერესის საზიანოდ, მათ შორის კომპანიის მიერ ადვოკატისათვის განდობილი წერილობითი ან ზეპირი ინფორმაცია - ვერ მიუთითებს. თუმცა განმარტა, რომ ადვოკატისათვის ცნობილი იყო კომპანიის შრომითი პოლიტიკა. საჩივრის ავტორის პოზიციით, შპს იურიდიულ დოკუმენტაციას კ. ჩ.-ის შპს-ში მუშაობის პერიოდში წერილობითი ფორმით არ აწარმოებდა. შპს-ს ხელმძღვანელობამ თავად მოამზადა შინაგანაწესის პროექტი, რომელსაც არ დაეთანხმა ადვოკატი კ. ჩ..

1.11 საჩივრის ავტორის განმარტებით, იმ პერიოდში, როდესაც კ. ჩ. წარმოადგენდა შპს-ს იურისტს (6 თვის განმავლობაში) კომპანიას შრომითი დავა არ ჰქონია.

**2. ადვოკატის პოზიცია:**

2.1 ადვოკატმა კ. ჩ.-მა 2022 წლის 28 სექტემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება და მიუთითა, რომ 2019 წლის 9 აგვისტოდან 2020 წლის 15 თებერვლამდე მუშაობდა შპს „ფ. ს.-ში“ კომპანიის იურისტის პოზიციაზე. იგი დასაქმებული იყო უვადო შრომითი (ზეპირი) ხელშეკრულებით და ახორციელებდა იურისტის საქმიანობას შპს „ფ. ს.-ის“ სასარგებლოდ, 2020 წლის 15 თებერვლამდე, სანამ დამსაქმებელმა უკანონოდ არ გაათავისუფლა.

2.2 ადვოკატის განცხადებით, 2018 წლიდან ის ნამდვილად ირიცხება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრად, ხოლო 2020 წლის პირველი თებერვლიდან 2021 წლის 25 ნოემბრამდე მას შეწყვეტილი ჰქონდა ასოციაციის წევრობა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, შპს „ფ. ს.“ არ ყოფილა კ. ჩ.-ის, როგორც ადვოკატის კლიენტი, არამედ შპს „ფ. ს.“ იყო კ. ჩ.-ის, როგორც იურისტის დამსაქმებელი, რის საფუძველზეც ის კომპანიისთვის ასრულებდა იურისტის მოვალეობებს და შრომით ურთიერთობაში მონაწილეობდა როგორც იურისტი. შესაბამისად, ადვოკატ კ. ჩ.-ის პოზიციით, შპს „ფ. ს.“ იყო მისი დამსაქმებელი და არა კლიენტი.

2.4 კ. ჩ.-ის განმარტებით, შპს „ფ. ს.-მა“ სხვა თანამშრომლები გაათავისუფლა 2020 წლის მაისი-ივნისის თვეში და ამის შემდეგ აღნიშნულმა თანამშრომლებმა სამართლებრივი მხარდაჭერის აღმოსაჩენად მას მიმართეს, არა როგორც კომპანიის იურისტს, არამედ როგორც დამოუკიდებელ ადვოკატს. მან, როგორც ადვოკატმა კლიენტებს გაუფორმა ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების შესახებ. ხელშეკრულება თ. ზ.-სთან გაფორმებულია 06.06.2020 წელს, ხოლო გ. ვ.-სთან, ლ. ქ.-სთან და თ. ლ.-სთან- 10.06.2022 წელს.

2.5 ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივრის ავტორს მითითებული არ აქვს თუ რომელი კონფიდენციალური ინფორმაცია მიიღო მან შპს „ფ. ს.-ში“ მუშაობისას და გამოიყენა მის საწინააღმდეგოდ; ან შრომითი დავის წარმოებისას რომელი ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობა აქვს მას. ადვოკატის განმარტებით, შპს „ფ. ს.-სთან“ წარმოებული ყველა დავა მიმდინარეობს შრომითი დავის სტანდარტით და მისი ოდესღაც შპს „ფ. ს.-ის“ თანამშრომლად ყოფნა მას დავის წარმოებას არ უადვილებს. ამასთან, აღნიშნულ შრომით დავებში არსებული ყველა ინფორმაცია/დოკუმენტი მოპოვებულია თავად მოსარჩელეების მიერ ან მოწოდებულია თავად მოპასუხის მიერ დავის განხილვის ფარგლებში.

2.6 ადვოკატის განმარტებით, არსებული შრომითი დავებიდან შპს „ფ. ს.-მა“ სამი დავა წააგო. ადვოკატის განცხადებით, მან რამდენიმე კლიენტისგან (შპს „ფ. ს.-ის“ ყოფილი თანამშრომლებისგან) შეიტყო, რომ შპს „ფ. ს.-მა“ მათთან მიაგზავნა თანამშრომელი, რომელმაც კომპანიის სახელით მას მორიგება შესთავაზა იმ დათქმით, რომ ნებისმიერი შეთავაზება კ. ჩ.-ის გვერდის ავლით გაეკეთებინათ და მასთან შეეწყვიტათ თანამშრომლობა.

2.7 ადვოკატის განმარტებით, შრომითი დავები 2020 წლის ივნისიდან მიმდინარეობს და დღემდე მას არანაირი კონფიდენციალური ინფორმაცია არ გამოუყენებია. ადვოკატის განცხადებით, მისი კლიენტების შრომის ანაზღაურების ოდენობა, დასაქმების პერიოდი, სამუშაო გრაფიკი და რეჟიმი, მისთვის ცნობილი გახდა თავად კლიენტებისგან, სარჩელის აღძვრის ეტაპზე (რა დროსაც არც კ. ჩ. და არც მისი კლიენტები აღარ მუშაობდნენ შპს „ფ. ს.-ში“). სახელფასო პოლიტიკა ზოგადად განსხვავებული იყო კომპანიის მხრიდან სხვადასხვა თანამშრომელთა მიმართ და როგორც ახალმისულ იურისტს, არავინ ეუბნებოდა თანამშრომელთა ანაზღაურების ოდენობას და არც თავად ინტერესდებოდა, აღნიშნული ინფორმცია ჰქონდა კომპანიის ბუღალტერს, ხოლო ინფორმაციას თანამშრომელთა სამუშაო პირობების შესახებ ფლობდა კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის თანამშრომელმა (ეიჩარმა). კ. ჩ. განმარტავს, რომ თუ მან დოკუმენტები წარადგინა სასამართლოში, რეესტრში ან მესამე პირებთან (კომპანიის კლიენტებთან, ესე იგი, სამშენებლო მასალების შემძენებთან), ეს მოქმედებები არ მიუთითებს მის მიერ შესაძლო კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებაზე შრომით დავებში, მაშინ, როდესაც მიმდინარე შრომითი დავების ფარგლებში შეიტყო რეალურად ვისთან რა სახის შეთანხმება ჰქონდა კომპანიას გაფორმებული, ხოლო დანარჩენი საპროცესო და მატერიალური მოქმედებები განსაზღვრულია კანონმდებლობით.

2.8 კ. ჩ.-ის განმარტებით, მის მიერ ნაწარმოები შრომითი დავები შეეხება დასაქმებულთა უფლებების დაცვას სამართლებრივი და მორალური ქმედებებით და იგი ყველა აღნიშნულ დავას ცალკე, გაერთიანების გარეშე აწარმოებს, რადგანაც სხვა კლიენტებსაც კი არ აქვთ ინფორმაცია ხსენებული დავების შესახებ და ამასთან, მას არცერთი მოსარჩელე მოწმედ არ ჰყავს დაბარებული მეორე მოსარჩელის საქმეზე, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის მხრიდან დისკრიმინაციასა და სხვა ნეგატიურ დამოკიდებულებას კარგად წარმოაჩენდა მოწმეთა ჩვენებები.

2.9 2022 წლის 19 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე, ადვოკატმა განმარტა, რომ საკითხავია გათავისუფლებული პირებისთვის მის მიერ საადვოკატო მომსახურების გაწევა რამდენად ეწინააღმდეგება შპს „ფ. ს.“ ინტერესებს, რომელიც მათი, ყველას დამსაქმებელი კომპანია იყო. მისი განმარტებით, ამ ასპექტში მათ შორის არანაირი ინტერესთა კონფლიქტი არ იკვეთება, რადგანაც გამოიკვეთებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პირების გათავისუფლებაში, მათი გათავისუფლების წანამღვრებში ან ამ დოკუმენტების შედგენაში რამე ფორმით იგი მონაწილეობას მიიღებდა. მისი პოზიციით, დასახელებული პირებისთვის შესაგებლის მომზადებაში, გათავისუფლების ბრძანებაში, გათავისუფლების რჩევა-დარიგებაში მას რომ მონაწილეობა მიეღო, ასეთი შემთხვევა იქნებოდა ინტერესთა კონფლიქტის დაცვის ვალდებულების დარღვევა, თუმცა მისი მოხსენებით, ამ გათავისუფლებულ პირებთან შედარებით, იგი ორი ან რამდენიმე თვით ადრე გაათავისუფლეს კომპანიიდან და მან სულაც არ იცოდა, რომ კომპანია რომელიმე თანამშრომლის გათავისუფლებას აპირებდა. სწორედ ამიტომ, მისი პოზიციით, მისი, ამ გათავისუფლებულ პირთა და კომპანიის ინტერესები არანაირად არ გადაკვეთილა აღნიშნული საქმეების წარმოებისას.

2.10 კ. ჩ. განმარტავს, რომ ერთადერთი მტკიცებულება, რომელიც მან საქმის წარმოებისას გამოიყენა იყო GPS ჩანაწერები, რომლის შესახებაც ინფორმაცია მას თავად კლიენტმა მიაწოდა, ხოლო იმ

მტკიცებულების შესახებ, რომელიც მან საილუსტრაციოდ შეადგინა ადასტურებს, რომ ნამდვილად მისი შედგენილია. მისი განმარტებით, მას 2021 წლის 1 თებერვლიდან 2021 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით, ადვოკატის საწევრო შესატანის გადაუხდელობის გამო შეჩერებული ჰქონდა ადვოკატთა ასოციაციის წევრობა და საადვოკატო ლიცენზია, რომელიც საწევრო შესატანის შეტანის შემდეგ აღდგა. მან GPS ამონაწერის წარდგენის შესახებ შუამდგომლობა სასამართლოში 2021 წლის 2 ივლისს დააყენა ანუ საადვოკატო ლიცენზიის შეჩერების პერიოდში, ამასთან, ეს ამონაწერი მას კომპანიიდან გათავისუფლებულმა პირმა (კლიენტმა) მიაწოდა. მისი განმარტებით, ამასთან დაკავშირებით თავად მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე ადასტურებდა სასამართლო სხდომაზე, რომ კომპანია ნამდვილად მეთვალყურეობს GPS მონაცემებს, უბრალოდ ამ შუამდგომლობის დაყენებისას მათ ეს მონაცემები აღარ ჰქონდათ შენახული.

2.11 ადვოკატის განმარტებით, მან ასევე კლიენტისგან მიიღო ინფორმაცია თითის ანაბეჭდთან დაკავშირებით, რომლითაც კომპანიაში თანამშრომლების მოსვლა-წასვლა აღირიცხებოდა, აქედან გამომდინარე, იგი ფიქრობს, რომ მისთვის ამ ინფორმაციების ფლობას არანაირი პრივილეგია არ მიუნიჭებია და ამით არც კომპანიის ინტერესები შელახულა. ადვოკატის პოზიციით, კომპანიასა და მას შორის ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშვებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი რამე სახით მონაწილეობას მიიღებდა ხსენებულ პირთა გათავისუფლების პროცედურებში, ან ამ პირთა მიერ შემდგომ დავების წამოწყებისას მათ მიმდინარეობაში იგი კომპანიის საწინააღმდეგოდ რამე დოკუმენტაციას შეადგენდა.

2.12 ადვოკატის მოხსენებით, კომპანიის მძღოლებსაც აცნობდნენ GPS მონაცემებს, რათა ისინიც ინფორმირებულნი ყოფილიყვნენ დეტალებთან დაკავშირებით, იქიდან გამომდინარე, რომ მათ დადგენილი ჰქონდათ შესაბამისი მარშრუტი, რომლის გათვალისწინებითაც უნდა ეხელმძღვანელათ და საშუალოდ საჭირო საწვავის რაოდენობა გაეკონტროლებინათ. ამის გათვალისწინებით, თუ დადგინდებოდა, რომ მძღოლი დადგენილ რაოდენობას გადააჭარბებდა, მაშინ მას ანაზღაურებიდან აკლდებოდა შესაბამისი თანხა.

2.13 ადვოკატი ადასტურებს, რომ თ. ზ., გ. ვ., ლ. ქ. და თ. ლ. (მისი ამჟამინდელ კლიენტები) შპს „ფ. ს.-ის“ თანამშრომლები იყვნენ, თუმცა ისინი კომპანიაში მის დასაქმებამდე უკვე მუშაობდნენ, ხოლო რაც შეეხება მათ განთავისუფლებას, კ. ჩ.-ის განმარტებით, იგი თებერვლის თვეში გაათავისუფლეს კომპანიიდან, ხოლო ხსენებული პირები მაისი-ივნისის თვეში. ადვოკატის გათავისუფლებიდან (თებერვლიდან) დაახლოებით 4-5 თვეში (ივნისში) კი მან მათი ინტერესების სამართლებრივად დაცვა დაიწყო.

2.14 ადვოკატის მოხსენებით, მან სს „ე. ჯ.-სთან“ დაკავშირებით სასარჩელო მოთხოვნად სახელფასო დავალიანების ანაზღაურება მოითხოვა, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა; შპს „ფ. ს.-ის“ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ მას სამსახურში აღდღენასთან დაკავშირებით სასარჩელო მოთხოვნა არ დაუკმაყოფილა, ხოლო კომპენსაციისა და თებერვლის ნახევარი თვის სახელფასო დავალიანების მოთხოვნა სასამართლო წესით დაუკმაყოფილდა; სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, ახლა კი როგორც კ. ჩ.-მა, ისე შპს „ფ.

ს.-მა“ საქართველოს უზენაეს სასამართლოში შეიტანეს საჩივარი, რომელმაც შპს „ფ. ს.-ის“ საკასაციო საჩივარი უარყო და განუხილველად მიიჩნია, ხოლო კ. ჩ.-ის საჩივარი დასაშვებად ცნო.

2.15 2023 წლის 23 თებერვლის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, მას როგორც ადვოკატს ყველანაირი ინფორმაცია აქვს კლიენტებისგან, რადგან შპს-ს იურისტად მუშაობის პერიოდში, მას კომპანიის შრომით ან ფინანსურ დოკუმენტაციასთან წვდომა არ ჰქონია. ამასთან, სასამართლომ ის შუამდგომლობა, რომელზეც დართული იყო კლიენტის მიერ მისთვის მიწოდებული GPS მონაცემები არ დააკმაყოფილა.

**3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:**

3.1 2022 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ კ. ჩ.-ის მიმართ აღძვრა დისციპლინური დევნა. საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადგინა, ადვოკატმა კ. ჩ.-მა დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდებისა და ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ეთიკური ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1.(ა); ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლები 4.1, 4.3, 6.1, 6.2.(ა), 6.2.(ბ), 6.5.

3.2 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა ყოფილ დამსაქმებლებს მიაყენა შეურაცხყოფა და დაადგინა, რომ ადვოკატ კ. ჩ.-ს არ დაურღვევია პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, 5.გ ქვეპუნქტი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, 9.4 მუხლი). საპროცესო კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის მორიგი პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, სასამართლოში ყოფილი კლიენტის მიმართ წარდგენილი სარჩელით, ადვოკატმა გაცილებით მეტი მოთხოვნა დააყენა, ვიდრე ეკუთვნოდა; ასევე, ადვოკატი ქმნიდა და იყენებდა არაკანონიერ მტკიცებულებს - ფარულ ჩანაწერებს; მეილ-მიმოწერას. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ადვოკატის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.1 მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.3 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

## II სამოტივაციო ნაწილი

**4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:**

4.1 **უდავო ფაქტები:**

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატი კ. ჩ. წარმოადგენდა შპს „ფ. ს.-ის“ იურისტს 2019 წლის 9 აგვისტოდან 2020 წლის 15 თებერვლის პერიოდში, მხარეთა შორის ზეპირი ფორმით დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

*განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

მხარეთა წერილობით და ზეპირი პოზიციები;

განხილვის კოლეგიის 2023 წლის 23 თებერვლის სხდომის ოქმი.

4.1.2 ადვოკატი კ. ჩ. ადვოკატთა ასოციაციის მოწმედი წევრია 2018 წლიდან. თუმცა მას 2020 წლის 1 თებერვლიდან 2021 წლის 25 ნოემბრამდე შეწყვეტილი ჰქონდა ადვოკატთა ასოციაციის წევრობა, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო.

*განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა მონაცემთა ბაზა

4.1.3 იმ პერიოდში, როდესაც კ. ჩ. წარმოადგენდა შპს-ს იურისტს, შპს „ფ. ს.-ს“ შრომითი დოკუმენტაცია წერილობითი ფორმით არ ჰქონია. ასევე, იურისტ კ. ჩ.-ს შპს არ წარმოუდგენია შრომით დავაში.

*განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

მხარეთა წერილობით და ზეპირი პოზიციები;

განხილვის კოლეგიის 2023 წლის 23 თებერვლის სხდომის ოქმი.

4.1.4 კ. ჩ.-სა და მის ყოფილ დამსაქმებელს შპს „ფ. ს.-სა“ და სს „ე. ჯ.-ს“ შორის მიმდინარეობდა შრომითი დავა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე N--- მოსარჩელე კ. ჩ.-ის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხე შპს „ფ. ს.-ს“ კ. ჩ.-ის მიმართ დაეკისრა კონკრეტული ფულადი ვალდებულებები. ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 23 თებერვლის N--- გადაწყვეტილებით მოსარჩელე კ. ჩ.-ის მოთხოვნა მოპასუხის სს „ე. ჯ.-ის“ მიმართ დაკმაყოფილდა.

*განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

მხარეთა წერილობით და ზეპირი პოზიციები;

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N---;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე N---;

განხილვის კოლეგიის 2023 წლის 23 თებერვლის სხდომის ოქმი.

4.1.5 შპს „ფ. ს.დან“ გათავისუფლების შემდეგ, ადვოკატი კ. ჩ. საადვოკატო მომსახურებას უწევს შპს „ფ. ს.-ის“ თანამშრომლებს - თ. ზ.ს, გ. ვ.ს, ლ. ქ.ს და თ. ლ.ს, შპს „ფ. ს.-სთან“ არსებულ შრომით დავაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 02 ივნისის გადაწყვეტილებით საქმეზე N---, სადაც მოსარჩელეა თ. ზ., წარმომადგენელი - კ. ჩ. და მოპასუხეს წარმოადგენს შპს ფ. ს., სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. აღნიშნულ საქმეზე აპელანტის შპს „ფ. ს.-ის“ სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო

სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 11 ივლისის N--- გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა.

*განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

მხარეთა წერილობით და ზეპირი პოზიციები;

გ. ვ.სა და კ. ჩ.-ს შორის 2020 წლის 16 სექტემბრის მინდობილობა N---;

თ. ზ.სა და კ. ჩ.-ს შორის 2020 წლის 11 ნოემბრის N--- მინდობილობა;

თ. ლ.სა და კ. ჩ.-ს შორის 2021 წლის 02 თებერვლის N--- მინდობილობა;

ლ. ქ.სა და კ. ჩ.-ს შორის 2020 წლის 26 ივნისის N--- მინდობილობა; და 2020 წლის 10 ივნისის ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე;

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 02 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე N---;

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N---;

განხილვის კოლეგიის 2023 წლის 23 თებერვლის სხდომის ოქმი.

4.1.6 ადვოკატმა კ. ჩ.-მა 2021 წლის 15 ივნისს, როგორც გ. ვ.-ის წარმომადგენელმა, შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა მტკიცებულებათა გამოთხოვა; ადვოკატმა შუამდგომლობას დაურთო შპს „ფ. ს.-ის“ სახელით სხვა საქმეზე წარმოებული ჯპს მონაცემები, იმის საჩვენებლად, თუ როგორ ხდება ჯპს მონაცემების აღრიცხვა.

*განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:*

მხარეთა წერილობით და ზეპირი პოზიციები;

ადვოკატ კ. ჩ.-ის 2021 წლის 15 ივნისის შუამდგომლობა.

4.2 **სადავო ფაქტები:**

4.2.1 საქმეში სადავოა, შრომითი ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ფლობდა და გამოიყენა თუ არა კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია ადვოკატმა კ. ჩ.-მა ყოფილი კლიენტის - შპს ფ. ს.-ის ინტერესის საზიანოდ, ახალი კლიენტების საქმის წარმოებისას.

საკითხთან დაკავშირებით მხარეთა პოზიციები განსხვავებულია, კერძოდ, საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი შპს „ფ. ს.-ისგან“ მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას იყენებს ამავე კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ. შპს „ფ. ს.-სა“ და 2020 წლის მაისის თვეში გათავისუფლებულ ერთ-ერთ თანამშრომელს შორის დავის მიმდინარეობისას, კ. ჩ.-მა საკუთარი მარწმუნებლის სასარგებლოდ და შპს „ფ. ს.-ის“ ინტერესების საწინააღმდეგოდ სასამართლოში წარადგინა დოკუმენტი, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა, როგორც კომპანიის იურისტისთვის. კერძოდ, კ. ჩ.-მა, როგორც გ. ვ.-ის წარმომადგენელმა მტკიცებულების სახით სასამართლოში წარადგინა GPS ამონაწერი, რომელიც წარსულში შპს

„ფ. ს.-მა“ წარადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. ადვოკატს ეს მტკიცებულება შენახული ჰქონდა და ამჟამად სასამართლოში წარდგენით სურდა დაემტკიცებინა, რომ კომპანიაში GPS ამონაწერების წარმოება ხდებოდა, რითაც მას სურდა დაედგინა, რომ გ. ვ. ზეგანაკვეთურადაც მუშაობდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ რეალურად ეს ამონაწერი გ. ვ.ს არ ეკუთვნოდა და კომპანიაში მუშაობის გარეშე, ხელმისაწვდომი არ იქნებოდა ადვოკატ კ. ჩ.-ისათვის. ასევე, ადვოკატი კ. ჩ., ფლობს შპს „ფ. ს.-ის“ კონფიდენციალურ ინფორმაციას კომპანიის შიდა საქმიანი ინფორმაციის, შრომითი პოლიტიკის, სტრატეგიისა და შრომით დავებზე გამოსაყენებელი მტკიცებულებებისა და არგუმენტების სახით, რაც მას პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს.

თავის მხრივ, ადვოკატი განმარტავს, რომ მისი კლიენტების შრომის ანაზღაურების ოდენობა, დასაქმების პერიოდი, სამუშაო გრაფიკი და რეჟიმი, მისთვის ცნობილი გახდა თავად კლიენტებისგან, სარჩელის აღძვრის ეტაპზე. სახელფასო პოლიტიკა ზოგადად განსხვავებული იყო კომპანიის მხრიდან სხვადასხვა თანამშრომელთა მიმართ და როგორც ახალმისულ იურისტს, არავინ ეუბნებოდა თანამშრომელთა ანაზღაურების ოდენობას და არც თავად ინტერესდებოდა, აღნიშნული ინფორმაცია ჰქონდა კომპანიის ბუღალტერს, ხოლო ინფორმაციას თანამშრომელთა სამუშაო პირობების შესახებ ფლობდა კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის თანამშრომელი. კ. ჩ. განმარტავს, რომ თუ მან დოკუმენტები წარადგინა სასამართლოში, რეესტრში ან მესამე პირებთან (კომპანიის კლიენტებთან, ესე იგი, სამშენებლო მასალების შემძენებთან), ეს მოქმედებები არ მიუთითებს მის მიერ შესაძლო კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებაზე შრომით დავებში, მაშინ, როდესაც მიმდინარე შრომითი დავების ფარგლებში შეიტყო რეალურად ვისთან რა სახის შეთანხმება ჰქონდა კომპანიას გაფორმებული, ხოლო დანარჩენი საპროცესო და მატერიალური მოქმედებები განსაზღვრულია კანონმდებლობით. ადვოკატი განმარტავს, რომ ამ პირების გათავისუფლებაში, მათი გათავისუფლების წანამღვრებში ან ამ დოკუმენტების შედგენაში რამე ფორმით მონაწილეობა არ მიუღია. მისი პოზიციით, დასახელებული პირებისთვის შესაგებლის მომზადებაში, გათავისუფლების ბრძანებაში, გათავისუფლების რჩევა-დარიგებაში მას რომ მონაწილეობა მიეღო, ასეთი შემთხვევა იქნებოდა ინტერესთა კონფლიქტის დაცვის ვალდებულების დარღვევა, თუმცა მისი მოხსენებით, ამ გათავისუფლებულ პირებთან შედარებით, იგი ორი ან რამდენიმე თვით ადრე გაათავისუფლეს კომპანიიდან და მან სულაც არ იცოდა, რომ კომპანია რომელიმე თანამშრომლის გათავისუფლებას აპირებდა. სწორედ ამიტომ, მისი პოზიციით, მისი, ამ გათავისუფლებულ პირთა და კომპანიის ინტერესები არანაირად არ გადაკვეთილა აღნიშნული საქმეების წარმოებისას. კ. ჩ. განმარტავს, რომ ერთადერთი მტკიცებულება, რომელიც მან საქმის წარმოებისას გამოიყენა იყო GPS ჩანაწერები, რომლის შესახებაც ინფორმაცია მას თავად კლიენტმა მიაწოდა.

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ

აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“. საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე, ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ ამასთან, სსსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. კოლეგია განმარტავს, რომ ამ კონკრეტული ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს, რომელმაც განმარტა, რომ კონკრეტულად ისეთი სახის ინფორმაციაზე, რომელიც წარმოადგენდა კომპანიის კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელსაც ფლობდა ადვოკატი კ. ჩ. და გამოიყენა კომპანიის ინტერესის საზიანოდ, მათ შორის კომპანიის მიერ ადვოკატისათვის განდობილი წერილობითი ან ზეპირი ინფორმაცია - ვერ მიუთითებს. საჩივრის ავტორმა კოლეგიას ვერ მიუთითა, კონკრეტულად რა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია გამოიყენა ადვოკატმა კ. ჩ.-მა შპს „ფ. ს.-ის“ - ყოფილი დამსაქმებლის წინააღმდეგ.

კოლეგიის შეფასებით, მომჩივანის პრეტენზია გამყარებულია მხოლოდ მისი ზეპირი განმარტებით, შესაბამისად, არ დასტურდება, რომ ადვოკატი კ. ჩ. ფლობდა რაიმე სახის ინფორმაციას, რომლის გამოყენებაც შეეძლო ყოფილი დამსაქმებლის წინააღმდეგ.

## 5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ კ. ჩ.-ის მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

## 6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ კ. ჩ.-ის მიერ დარღვეული არ არის შემდეგი ნორმები:

6.1.1 ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება გასული დროის მიუხედავად (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1(ა)).

6.1.2 ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას

კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1).

6.1.3 ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია: ა) კლიენტის წინააღმდეგ; ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს (ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.3).

6.1.4 ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე (ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.1).

6.1.5 ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც: ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე (ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.2.(ა)).

6.1.6 ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ინტერესებთან (ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.2(ბ)).

6.1.7 ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.5).

6.2 კოლეგია განმარტავს, რომ პროფესიული ვალდებულებები ვრცელდება კომპანიის შიდა იურისტებზეც *('In-House lawyer')*, რომლებიც შრომითი ურთიერთობის ფარგლებში ახორციელებენ საადვოკატო საქმიანობას, თუ ისინი არიან გაწევრიანებულები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. იურისტი, რომელიც არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ექცევა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულირების სფეროში (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2).

6.3 ერთ-ერთ რეკომენდაციაში ეთიკის კომისიამ იმსჯელა სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებზე და აღნიშნა, რომ „კოლეგია განიხილავს შეკითხვაში დასახელებული პირის - კომპანიის შიდა იურისტის ქმედებას, როგორც ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმებით შეზღუდული პირის ქმედებებს, ვინაიდან, სიტუაციიდან გამომდინარე, განსახილველი საკითხები შეეხება ისეთ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატმა მიიღო კომპანიის იურისტის მოვალეობების განხორციელებისას“ (საქართველოს

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში „ეთიკის კომისიის“, 24.02.2017 წლის N002/17 რეკომენდაცია).

6.4 განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატი კ. ჩ. დასაქმებული იყო კომპანიაში შპს „ფ. ს.-ის“ იურისტის პოზიციაზე. ადვოკატის საქმიანობა არ იყო შეზღუდული რომელიმე კონკრეტული საქმით და იგი კომპანიას მხარდაჭერას უწევდა ყველა სამართლებრივ საკითხში; კომპანიის სახელით კომუნიკაციას აწარმოებდა მესამე პირებთან; უფლებამოსილი იყო კომპანიის სახელით წარედგინა განცხადებები და დოკუმენტები. შესაბამისად, კ. ჩ.-ზე, როგორც კომპანიის იურისტზე, ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსითა და ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციები.

6.5 „ეთიკის კოდექსის 6.1, 6.2(ა) მუხლებით ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის წყარო არის ადვოკატის ორი ან მეტი კლიენტი, ხოლო 6.2(ბ) მუხლი კონფლიქტის წარმოქმნის წყაროდ ასახელებს ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებს. 2012 წლის ცვლილებების შემდეგ, ეთიკის კოდექსის სამივე მითითებული ნორმა (6.1, 6.2.ა, 6.2.ბ) კონფლიქტის დაუშვებლობას ავრცელებს არა მხოლოდ ერთი და იმავე, არამედ დაკავშირებულ საქმეებზეც, რადგან ადვოკატს გააჩნია კონფიდენციალობის ვალდებულება მოქმედი, პოტენციური და ყოფილი კლიენტების მიმართ“ (ეთიკის კომისიის 13.08.2020 წლის გადაწყვეტილება, საქმე N045/20).

6.6 „ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე შესაძლოა არსებობდეს არა მხოლოდ მოქმედ და ყოფილ, არამედ ასევე პოტენციურ კლიენტსა და ადვოკატის სხვა მოქმედ, ყოფილ ან პოტენციურ კლიენტს შორის. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატისათვის ცნობილი გახდა იურიდიული რჩევის მიღების მსურველი პირის (პოტენციური კლიენტის) კონფიდენციალური ინფორმაცია, თუნდაც მათ შორის არ შედგეს შეთანხმება საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე, ადვოკატს კონფიდენციალური ინფორმაციის მიღების მომენტიდან წარმოეშობა ამ ინფორმაციის დაცვის ეთიკური ვალდებულება. ადვოკატს ინტერესთა კონფლიქტი აქვს, როდესაც არ შეუძლია ერთგულად დაიცვას კლიენტის ინტერესები იმის გამო, რომ სხვა პირთა მიმართ აქვს ვალდებულებები“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 22.03.2019 წლის N001/19 რეკომენდაცია).

6.7 განხილვის კოლეგიამ შეისწავლა მხარეთა პოზიციები, გამოიკვლია მხარეთა მიერ წარმოდგენილი მასალები და დაადგინა, რომ ადვოკატი ადვოკატი კ. ჩ. წარმოადგენდა შპს „ფ. ს.-ის“ იურისტს 2019 წლის 9 აგვისტოდან 2020 წლის 15 თებერვლის პერიოდში, მხარეთა შორის ზეპირი ფორმით დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე (პარ. 4.1.1). კ. ჩ.-სა და მის ყოფილ დამსაქმებელს შპს „ფ. ს.-სა“ და სს „ე. ჯ.-ს“ შორის მიმდინარეობდა შრომითი დავა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე N--- მოსარჩელე კ. ჩ.-ის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს შპს „ფ. ს.-ს“ კ. ჩ.-ის მიმართ დაეკისრა კონკრეტული ფულადი ვალდებულებები. ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 23 თებერვლის N--- გადაწყვეტილებით მოსარჩელე კ. ჩ.-ის მოთხოვნა მოპასუხის სს „ე. ჯ.-ის“ მიმართ დაკმაყოფილდა (პარ. 4.1.4).

6.8 შპს „ფ. ს.დან“ გათავისუფლების შემდეგ, ადვოკატი კ. ჩ. საადვოკატო მომსახურებას უწევს შპს „ფ. ს.-ის“ თანამშრომლებს - თ. ზ.ს, გ. ვ.ს, ლ. ქ.ს და თ. ლ.ს, შპს „ფ. ს.-სთან“ არსებულ შრომით დავაში (პარ. 4.1.5).

6.9 შპს „ფ. ს.-ს“ იურიდიული დოკუმენტაცია წერილობითი ფორმით მოწესრიგებული არ ჰქონია. იმ პერიოში, როდესაც ადვოკატი წარმოადგენდა შპს-ს იურისტს, მას მონაწილეობა არ მიუღია იმ თანამშორმელთა შრომითი დოკუმენტაციის შედგენაში, ვისაც შემდეგ უწევდა წარმომადგენლობას. თანამშრომელთა და კომპანიის შრომითი ურთიერთობა წესრიგდებოდა კომპანიის ხელმძღვანელ პირებსა და დასაქმებულს შორის, იურისტისაგან დამოუკიდებლად. მათ შორის, კომპანიამ კ. ჩ.-ისაგან დამოუკიდებლად მოამზადა შინაგანაწესის პროექტი. მუშაობის პერიოდში, იურისტის მოვალეობას წარმოადგენდა კომპანიის მხარდაჭერა ყველა სამართლებრივ საკითხში; მათ შორის: კომპანიის სახელით კომუნიკაციას წარმოება მესამე პირებთან; კომპენიის სახელით განცხადებისა და დოკუმენტაციის წარდგენა და ა.შ. ადვოკატ კ. ჩ.-ს, როგორც შპს „ფ. ს.-ის“ წარმომადგენელს, მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ შრომით დავაში (პარ. 4.1.3). კოლეგიის შეფასებით, დაუწერელი ფორმით არსებული კომპანიის „შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები“, ე.წ. „შიდა სამზარეულო“ - არ შეიძლება ჩაითვალოს „კონფიდენციალურ ინფორმაციად“, რადგან ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია კომპანიის თანამშრომელთათვვის და მოპოვებადია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, რომელიც ამ ინფორაციას - დოკუმენტებს გამოითხოვს სასამართლოს დავის ფარგლებში. კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ კონფიდენციალური ინფორაციის ფლობის ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს - შპს „ფ. ს.-ს“, რომელმაც განმარტა, რომ კონკრეტულად ისეთი სახის ინფორმაციაზე, რომელიც წარმოადგენდა კომპანიის კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელსაც ფლობდა ადვოკატი კ. ჩ. და გამოიყენა კომპანიის ინტერესის საზიანოდ, მათ შორის კომპანიის მიერ ადვოკატისათვის განდობილი წერილობითი ან ზეპირი ინფორმაციას - ვერ მიუთითებს. საჩივრის ავტორმა კოლეგიას ვერ მიუთითა, კონკრეტულად რა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია გამოიყენა ადვოკატმა კ. ჩ.-მა შპს „ფ. ს.-ის“ - ყოფილი დამსაქმებლის წინააღმდეგ. შესაბამისად, კოლეგიის შეფასებით, მომჩივანის პრეტენზია გამყარებულია მხოლოდ მისი ზეპირი განმარტებით, რაც არ არის საკმარისი იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ ადვოკატი კ. ჩ. ფლობდა რაიმე სახის ინფორმაციას, რომლის გამოყენებაც შეეძლო ყოფილი დამსაქმებლის წინააღმდეგ (პარ. 4.2.1).

6.10 კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა სასამართლოს შუამდგომლობით წარუდგინა GPS მონაცემები (პარ. 4.1.6), რომელიც საჩივრის ავტორს მიაჩნია კონფიდენციალურ ინფორაციად. ადვოკატის განმარტებით, ეს მონაცემები მას მიაწოდა კლიენტმა და აღნიშნული მონაცემები არ მოუპოვებია შპს-ში იურისტად მუშაობის პერიოდში, ამასთან სასამართლომ ის შუამდგომლობა, რომელზეც დართული იყო კლიენტის მიერ მისთვის მიწოდებული GPS მონაცემები არ დააკმაყოფილა. ამავე დროს, აღნიშნული დოკუმენტაციის სასამართლოში წარდგენის დროისათვის, ადვოკატ კ. ჩ.-ს არ ჰქონდა ადვოკატის სტატუსი. კომისიას მიაჩნია, რომ ინფორმაცია კომპანიის მიერ GPS მონაცემების წარმოების შესახებ ცნობილი იყო კომპანიის ყველა თანამშრომლისათვის, მათ შორის გ. ვ.-ისათვის და აღნიშნული ინფორმაცია - ფაქტი, რომ კომპანია აწარმოებდა მონაცემთა აღრიცხვას, არ წარმოადგენს კომპანიის კონფიდენციალურ ინფორმაციას; თუმცა, კონკრეტული

დოკუმენტი - PGS მონაცემების ამონაწერი - წარმოადგენს კომპანიის კონფიდენციალურ ინფორმაციას. განხილის ეტაპზე საქმის კვლევისას გამოიკვეთა საპროცესო ეტაპისაგან განსხვავებული ინფორმაცია - ადვოკატმა განმარტა, რომ შუამდგომლობას დართული დოკუმენტი - GPS ამონაწერი მას მიაწოდა კლიენტმა - დოკუმენტი არ მოუპოვებია შპს-ში მუშაობის პერიოდში; ამასთან სასამართლომ ის შუამდგომლობა, რომელზეც დართული იყო კლიენტის მიერ მისთვის მიწოდებული GPS მონაცემები არ დააკმაყოფილა. კოლეგიის შეფასებით, მხარეთა წარმოდგენილი საქმის მასალებით საწინააღმდეგო არ დასტურდება. შესაბამისად, არ დასტურდება, რომ კ. ჩ.-მა კლიენტის დოკუმენტაცია მოიპოვა, როგორც ადვოკატმა და გამოიყენა მაშინ, როდესაც არ ჰქონდა ადვოკატის სტატუსი.

6.11 ადვოკატ კ. ჩ.-ს არ გამოუყენებია ყოფილი კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია ახალი კლიენტის საქმეში, ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ, შესაბამისად, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძვლზე, ადვოკატ კ. ჩ.-ს არ დაურღვევია ინტერესთა კონფლიქტისა და ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ეთიკური ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1.(ა); ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 4.1, 4.3, 6.1, 6.2.(ა), 6.2.(ბ), 6.5.

## III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა დებულების 16, 17, 33, 35 მუხლებით, 40.2 მუხლით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №082/22 ადვოკატ კ. ჩ.-ს /სიითი №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.
3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/